ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 273 — 1877—1898 — № 273

კვირა, 20 დეკემბერი, 1898 წ.

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, № 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ამა მიმდინარე წლის 21 დეკემბერს, ქუთაისში, ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში, გარდაცვალებულის დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის თავადის

**ნიკოლოზ სიმონის ძის აბაშიძის**

სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე კნ. პუპი ალექსანდრეს ასული აბაშიძისა. (2—190—2)

## ქართული თეატრი

კვირას, 20 დეკემბერს,

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება **ქ-ნის ნ. გაბუნია ცაგარლის** მონაწილეობით

I

**ქორ-ოღლი**

დრამა 4 მოქ. ნ. ანტონოვისა.

II

მეხუთე მოქმედება პიესიდგან

**ორი ობოლი**

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **ქ. მესხი.**

## ექიმი ი. ია. გოკიელოვი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს, კანის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 საათ.

კერძოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათამდე.

აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად გახსილვა ნახველისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.

განოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—185—9)

ორშაბათს, 21 ქრისტეშობისთვეს, ტფილისის სობრანიის დარბაზში გამართული იქნება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ

**კონცერტი,**

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: კნ. ბ. მ. ამირეჯიბი, ქ-ნნი ე. გ. სარაჯიშვილი და ა. ა. თხორჟევსკაია, თავ. ა. რ. წერეთელი და ბ-ნნი მ. ვ. სერბულოვი, პ. ა. ლოდი, ი. გ. გარგარეთელი და კ. ს. მესხი.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.

კონცერტის შემდეგ იქნება

**ცეკვა**

ბილეთები იყიდება საზოგადოების კანცელარიაში და ტფილისის სობრანიაში.

## გაიცემა იჯარით

გორის მიძინების საკრებულო ეკკლესიის **ერთ-სართულიანი ქვიტკირის მაღაზია ოთხის ოთახით,** რომელიც მდებარეობს ამავე საკრებულო ეკკლესიის ქუჩაზედ, საჯარო ვაჭრობითა, მომავალის 1899 წლის მარტის 9-დგან რვა წლის ვადით.

ვაჭრობა იქნება ამავე საკრებულო ეკკლესიის გალავანში, საეკკლესიო სახლში, მომავალის იანვრის 10-სა, შუადღის 12 საათზედ, ვაჭრობის მესამე დღეს განმეორებით. მოვაჭრემ ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს მესამედი ვაჭრობის ფულისა. ვაჭრობა დაიწყება ოც-და-ჩვიდმეტის თუმნიდგან. ვისაცა ჰსურს შეტყობა პირობებისა, შეუძლიან მიჰმართოს ხსენებულ საკრებულოს ეკკლესიის მღვდელს, ბლაღოჩინს დიმიტრი ტატიევს.

გორის მიძინების საკრებულო ეკკლესიის წინამძღვარი დეკანოზი ბესარიონ თავდგირიძე. (3—2)

## აფთიაქი

ს. სამღებროში, ზუგდიდის მაზრაში, იძლევა იჯარით. პირობათა შესატყობად მიჰმართონ აფთიაქის პატრონს შემდეგის ადრესით: Черезъ Зугдидское уѣздное управленіе въ с. Самгебро, аптекарю Вольскому. (3—188—2)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქორო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ ხიქიგანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პრიტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ზ. კარაშეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. ბურკო. $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

## მთავრობის განკარგულებანი

—

ხელმწიფე იმპერატორმა იუსტიციის მინისტრის უქვეშევრდომესის მოხსენებას თანახმად, უმაღლესად კეთილინება და განათავისუფლა საპყრობილეთა მზრუნველ საზოგადოების ტფილისის დედათა განყოფილების თავჯდომარის თანამდებობისაგან უმაღლესის კარის გოფმეისტერის მეუღლე, კნეინა მარიამ ალექსანდრეს ასული შერვაშიძე.

გამწესებულ იქმნენ: უნივერსიტეტში სწავლა დამთავრებული აზნაური ვლადიმერ ჩხეიძე—ბათუმის სამაზრო ხაზინის ბუხჰალტერის თანაშემწედ; ტფილისის მოქალაქე ვასილ ანდრიას მემეძელიძე—ტფილისის ოლქის სასამართლოს კანცელარიის მოხელედ.

## ახალი ამბავი

—

*** დღეს, 20 დეკემბერს, ქართულ თავად-აზნაურთა თეატრში, დრამატიულის დასის არტისტების მიერ წარმოდგენა იქმნება გამართული ქ-ნ გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით. ითამაშებენ ანტონოვის პიესას „ქორ-ოღლის" და „ორი-ობოლი"-ს მეხუთე მოქმედებას.

*** ხვალ, 21 დეკემბერს, ტფილისის „სობრანიაში" (გოლოვინის ქუჩა, მუხრან-ბატონის სახლი) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ გაიმართება სალიტერატურო და სამუსიკო საღამო. როგორც პროგრამიდგანა სჩანს, საღამო მეტად საინტერესო იქმნება. სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებენ კნ. მ. ამირეჯიბი, ქ-ნნი ა. ა. თხორჟევსკისა, ე. გ. სარაჯიშვილისა, თავ. აკაკი წერეთელი და სხვანი. ყოველ წელიწადს ამ საღამოს ქართველი საზოგადოება დიდის სიხარულითა და სიამოვნებით ესწრება, ექვი არ არის, წელსაც არ დაიზარებენ ქართველები და დაესწრებიან ამ საღამოს.

*** გუშინ, 19 დეკემბერს, ტფილისის გუბერნატორმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას: ქალაქის თხოვნა შესახებ იმისა, რომ საბჭოს დარბაზში გამოჰკიდონ განსვენებულის პ. ა. იზმაილოვის სურათი და ერთს ახალს ქუჩას, რომელზედაც იზმაილოვის სახლია, იზმაილოვის ქუჩა დაერქვას—შეწყნარებულ არ იქმნა.

*** გუშინ, 19 დეკემბერს, ქალაქის მოურავმა მისწერა საბჭოს ხმოსნებს, რომ რადგანაც ხმოსნები იგვიანებენ ხოლმე საბჭოს მორიგ კრებებზე მოსვლას, ამიტომ გიცხადებთ, რომ კანონის ძალით, დანიშნულ დროს შემდეგ მხოლოდ 15 წუთს მოვუცდი ხმოსნებსა და თუ მაშინაც კანონიერი რიცხვი არ აღმოჩნდება ხმოსნებისა—კრება აღარ შესდგებაო.

*** ორშაბათს, 21 დეკემბერს, ქალაქის საბჭოს კრებამ უნდა განიხილოს, სხვათა შორის, შემდეგი საგნები: მოხსენება ქალაქის გამგეობისა ქალაქის მამულების ხელმეორედ დაფასების დამკიცების შესახებ; დადგენილება ქალაქის გამგეობისა შესახებ იმისა, რომ საბჭოს მიერ ნებადართული სხვა-და-სხვა ხარჯი ჩარიცხულ იყოს ქალაქის გასავალში. მოხსენება ქალაქის გამგეობისა 1899 წლისათვის ტრაქტირების გაღების ნება-რთვის შესახებ; მოხსენება ქალაქის გამგეობისა იმ დადგენილების გამო, რომელიც მოუვიდა ქალაქის სამმართველოს მის მიერ გაგზავნილ თხოვნაზე შესახებ მეტივეებისაგან გარდასახადის აკრებისა.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობაში ხელ-ახლად აღუძრავთ ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ქალაქის წყლის მილი გაფართოებულ იქმნას.

*** ქ. ტფილისის მე-8 ნაწილის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი ამბარდანოვი დამტკიცებულ იქმნა ბოქაულად.

*** 1898 წელს, 19 დეკემბერს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში ვაჭრობა მოხდა გასასყიდად სხვა-და-სხვა, ტფილისს გარეშე, ქალაქის მამულებისა, სავალდებულო გარდასახადის შემოუტანლობისა გამო. სულ გამოცხადებული იყო გაზეთებში გასასყიდად 176 მამული, მდებარე ქ. ბაქოსა, ბათუმსა, ქუთაისსა და სხვ. ხოლო, რადგან ვაჭრობის დაწყებამდე შემოტანილ იქმნა ხვედრი გარდასახადი, ამიტომ ვაჭრობაში ჩავარდა მხოლოდ ექვსი მამული: ოთხი ქუთაისისა, ერთი გორისა და ერთიც ნუხისა, აქედგან გაიყიდა ორი მამული: ერთი ქუთაისისა და ერთიც გორისა, დარჩა გასასყიდად ხელმეორე ვაჭრობით, რომელიც მოხდება 4 იანვარს 1899 წ., ოთხი მამული.

*** აზრადა აქვთ მომავალ წელს ქ. ნოვოროსისკში მოახდინონ შავის ზღვის სანაპირო-ადგილების მევენახეთა კრება. ამის შესახებ შუამდგომლობა უკვე აღძრულ იქმნა.

*** როგორც უწყიან მკითხველებმა, ტფილისის თვით-მართველობაში მოსამსახურეებს კარგა ხანია ურთიერთ შორის მოლაპარაკება აქვთ იმის შესახებ, რომ საერთო ძალით შეიძინონ ქალაქში მიწა და აავონ თავიანთვის სადგომები. ამ აზრით მათ განსაკუთრებული კომისია აარჩიეს, რომელსაც მიანდეს საჭირო მიწის მოძებნა და შენობების აგება. კომისიას დღემდის ჰსურდა შეეძინა ვერაზედ ნუგზაროვის მიწა, მაგრამ 17 დეკემბერს გადასწყვიტა ამ მიწას თავი გაანებოს და იმის ნაცვლად შეიძინოს ავლაბარში, სადაც ერთი მემამულე უფრო იაფად უთმობს ადგილს. გარდა ამისა ცხენის რკინის გზის დირექტორიც დაჰპირდა,—ცხენის რკინის გზის შტოს გავიყვან იქაო.

*** ზუგდიდის მახლობლად მდ. ინგურთან ბ-ნთ ჩიჩიევებს დიდი ტყე აქვთ.-ეს ტყე ამ შვიდის წლის წინად იჯარით აიღეს, 24 წლის ვადით, ბ-ნთ თაიროვებმა. აქამდე თაიროვები ამ ტყეს ვერ აწარმოებდნენ კარგად. ეხლა, როგორც გაზეთები იუწყებიან, მათ მოლაპარაკება აქვთ რუსეთის ერის ტყის-მწარმოებელ ფირმასთან, რომელსაც ჰსურს იჯარით აიღოს ეს ტყე.

*** როგორც ადგილობრივი გაზეთები იუწყებიან, ტფილისის სომხთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობას აზრადა აქვს მაისისთვის, რუსეთის პოეტის ა. ს. პუშკინის გარდაცვალებიდგან ასის წლის შესრულების გამო, გამოსცეს სომხურ ენაზედ ამ პოეტის საუკეთესო ნაწარმოებნი ერთ ტომად ავტორის ბიოგრაფიით. ზოგი უკვე გადათარგმნილი ყოფილა სომხურს ენაზედ, ზოგსაც ეხლა აპირობენ გადათარგმნას. კარგი იქმნება ქართველებმაც მიჰბაძონ სომხების მაგალითს და ამ დღისათვის, რომელსაც მთელი რუსეთი დღესასწაულობს შესანიშნავის პოეტის ხსოვნას, გამოსცეს, თუ დიდი არა, პატარა ტომი მაინც იმის ნაწარმოებთა. ჩვენის აზრით, ეს საქმე ან „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ", ან „წიგნების გამომცემელთა ამხანაგობამ" უნდა იკისროს. მით უფრო საჭიროა ეს, რომ პუშკინის შესანიშნავს თხზულებათაგან ცოტაა ქართულს ენაზედ გადმოთარგმნილი და გამოცემული.

*** ტფილისის გუბერნატორმა, „ტფ. ფ.“ სიტყვით, აცნობა ქალაქის მოურავს, რომ ჩემის მხრით დაბრკოლებას არა ვხედავ, რომ ხმ. შესტაკოვი დამტკიცებულ იქმნას ქალაქის გამგეობის წევრად, მაგრამ ამ თანამდებობაში დამტკიცებული იქმნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბ-ნი შესტაკოვი სამხედრო-სამოსწავლო უწყებაში სამსახურს თავს დაანებებსო.

*** როგორც „კავკ.“-ი იუწყება, ტფილისში აზრადა აქვთ დააარსონ ქ. ფოთში არსებულის მაგვარი სამარხი კასსა.

*** სენაკიდგან რვა ვერსის მანძილზედ მდებარეობს გოგირდის მადნები. გაზ. „Черн. Вѣст.“-ის სიტყვით, ინგლისელ კაპიტალისტთა ამხანაგობას აზრადა აქვს იჯარით აიღოს ის ადგილები, სადაც გოგირდის მადნებია. ამხანაგობას ამ ჟამად ამის შესახებ მოლაპარაკება აქვს.

*** თელავიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ თელავსა და ტფილისს შუა გზა თოვლისაგან გაწმენდილ და გასუფთავებულ იქმნაო.

*** „ახ. მიმ.“-ს შეუტყვია, რომ მთავარ-მართებლის საგანგებო საქმეთა მოხელე ფ. ფონ-კრუზენშტერნი თანამდებობას თავს ანებებსო.

*** „მშაკის“ სიტყვით, ამას წინად ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა ერთი ამერიკელი, რომელსაც შეერთებულის შტატებისაგან მინდობილი აქვს გაიგოს და შეისწავლოს რა და რა ხარისხის პურსა სთესავენ აქ.

*** როგორც „ახ. მიმ“-ა იუწყება, უკვე დაუმთავრებიათ კვლევაძიება ქობულეთ-ოზურგეთის რკინის გზის გასაყვანად. მუშაობას მაშინ შეუდგებიან, როდესაც გადადებული იქმნება საჭირო თანხა ამ გზის გასაყვანად.

*** ქ. თელავი. კარგა ხანია, თელავში და საზოგადოდ კახეთში ამოდენა თოვლი არ მოსულა, რამდენიც 12—13 დეკემბერს ჩამოჰყარა. სიმაღლით თოვლი ნახევარ საჟენზედ მეტია. გომბორის გადმოსავალზედ და ბევრგან სხვაგან გზები მთლად შეიკრა. ტელეგრაფის ბოძები ზედ დაწოლილის თოვლის სიმძიმისაგან ბევრგან დაიმტვრა, რის გამო 13 მთელი დღე და 14 შუადღემდე დეპეშების გზავნა შეჩერებული იყო. თელავიდგან 15-ში გასული ფოსტა უნდა დაბრუნებულიყო მეორე დღეს, დილის 9 საათზედ, მაგრამ 18-ს დეკემბერს, 12 საათზედ, დაბრუნდა. თურმე გზა ვერ გაეგნოთ სამგორის მინდორზედ და უკან უჯარმაში დაბრუნებულიყვნენ და იქ გაეთენებინათ ღამე. არგრეთვე ბევრი ეწვალნათ გომბორის წვერზედ.

*** ს. კარდენახი, (სიღნაღის მაზრა). 26 ნოემბერს სოფ. კარდენახის სამკითხველოს წევრთა კრება იყო. ანგარიშიდგან, რომელიც წაკითხულ იქმნა ალ. ფურცელაძის მიერ, აღმოჩნდა, რომ წიგნთ-საცავის საპატიო წევრს, გრ. შერემეტიევისას, შემოუტანია 100 მან. სამკითხველოს კასაში შემოსულა საწევრო ფული და კერძო შემოწირულებანი, სულ 265 მან. 59 კაპ., აქედგან დახარჯულა 142 მან. 24 კაპ., დარჩენილა 123 მან. 35 კაპ. სამკითხველოს აქვს შემოწირული წიგნები 738 და ნასყიდი 131. სულ 869 ცალი წიგნი.

მოისმინა რა ანგარიში საზოგადოებამ, მადლობა გარდაუხადა სამკითხველოს გამგეს კნ. ელენე ილიას ასულს აბხაზისას და ყველას, ვისაც კი შრომა და ღვაწლი მიუძღვის სამკითხველოს გაუმჯობესობის საქმეში. დასასრულ გამგეს მხრივ ერთმა წევრთაგანმა გამოსთქვა ის აზრი, თუ რამდენად სასარგებლო იქმნება, საზოგადოება რომ გამოიწერდეს სამკითხველოსა და საქალებო სასწავლებლის ხარჯით „ვოლშებნი ფონარს“ და გაჰმართავდნენ სახალხო კითხვებს. ეს აზრი საზოგადოებამ დიდის სიამოვნებით მიიღო და მისი სისრულეში მოყვანაც გარდასწყვიტა.

*** ჭიათურა, (შორაპნის მაზრა). გაზეთები ხშირად იუწყებიან ვიწროლიანდაგიან რკინის გზის გაგრძელებას ჭიათურიდგან სოფელ დარკვეთამდე. ამ გზის კეთებას უკვე შეუდგნენ და ადრეც დასრულდება მუშაობა. გზა იქმნება მიყვანილი მდინარე ჯრუჭულამდე.

შავი-ქვის მწარმოებელთა მიერ გადადებულ თანხიდგან რამდენიმე ნაწილი ხმარდება სოფ. პერევისიდგან და შუქრუთიდგან რიგიანის გზის გაკეთებას ჭიათურამდე. ამ გზების კეთება ერთობ გაჭიანურდა და არც არავინ იცის, როდის დამთავრდება. მეტია იმაზედ ლაპარაკი, რომ ამ გზების უქონლობა დიდს ზარალს აძლევს შავი-ქვის მწარმოებელთ, რადგან პერევისასა და შუქრუთში შავი ქვის მადნებია და დამუშავებული შავი-ქვა უთუოდ ჭიათურაში უნდა ჩაიტანონ შემდეგ რკინის გზით გასაგზავნად.

ზემო დასახელებულ თანხიდგან, მთავრობის განკარგულებით, გადაიდო რამდენიმე ათასი მანეთი ადგილობრივ პოლიციის ბოქაულისა და საავადმყოფოსათვის ცალ ცალკე სახლების ასაშენებლად. პირველი სახლი უკვე მოთავდა და ბ-ნი ბოქაული კიდევაც გადავიდა იმაში, მაგრამ მეორე სახლი ჯერ მზად არ არის, თუმცა-კი ადრე უნდა დასრულდეს. ამ სახლის აშენება ბ-ნ გუჯაჯილიანმა იკისრა, რომელმაც 12 წლის განმავლობაში წლიურად 600 მანეთი უნდა მიიღოს სახლის ქირად. საავადმყოფოში იქმნება 12 ავადმყოფის ადგილი. დასაწოლად მიიღებენ მხოლოდ შავი-ქვის მუშათ, მწარმოებელთ და ადგილობრივ მცხოვრებთ. გარეშე ხალხს-კი უსასყიდლოდ აძლევენ საავადმყოფოში დარიგებას და წამალს. საავადმყოფო ჯერ-ჯერობით მოთავსებულია იმ შენობაში, რომელშიაც კერძო აფთიაქია. საავადმყოფოსათვის დანიშნულია ერთი ექიმი და ორი ფერშალი. ფერშლები მუდამ აქ არიან, ექიმი-კი კვირაში ორჯელ მოდის (საიდგან?).

ამას წინად პოლიციის ბოქაულმა წინადადება მისცა აქაურ მოვაჭრეთ, თქვენ-თქვენის დუქნის წინ გზა გააკეთეთო. პირველად უარს იყვნენ, მაგრამ შემდეგ, როგორც იყო, დაიყოლია ბ-ნმა ბოქაულმა. მაგრამ დაპირები ჯერ არ შეუსრულებიათ მედუქნეებს. ძლიერ საჭირო კია ამ გზის დროზედ გაკეთება.

*** სოფ. სალუგარდონი, (კავკავის მაზ-ა). აქეთ ტყის მცველები ძალიან უწესოდ ექცევიან ხალხს. ამის გამო რამდენსამე ოსს ჩხუბი მოუვიდათ ტყის მცველებთან, რომლის დროს ერთი მათგანი მოჰკლეს. ამ შემთხვევის შემდეგ ტყის მცველები უფრო სასტიკად ექცევიან ხალხს.

აქეთ ქურდობა ხშირია. ორს ამ თვეს ღამე სანებაში მცხოვრებს ძუსოვს მოჰპარეს ბოსლიდგან ორი ხარი და ერთი ძროხა. საბრალო ძუსოვს მეტიც არა გააჩნდა რა...

*** სოფ. სანება, (კავკავის მაზრა). ამ ზაფხულს აქ გარდაიცვალა ოსი ფიცისი დაყოვი — ას თხუთმეტი წლის მოხუცი. მოხუცი თვალთ კარგად ჰხედავდა, ყურთაც კარგად ესმოდა, მეხსიერებაც კარგი ჰქონდა, მხოლოდ უკანასკნელ დროს ლოგინად ჩავარდა. ამავე სამრევლოს სოფელ თმენიყავაში გარდაიცვალა ასხუთის წლის დედაკაცი.

*** ქ. კუბიდგან შემდეგ სამწუხარო ამბავსა სწერენ სომხურ გაზეთს „ნორ დარ“-ს: 11 დეკემბერს ებრაელთა უბანში მოკლული ჰნახეს ერთის მდიდარის ებრაელის ცოლი და 5 შვილი, უმცროსი მათგანი ძუძუ-მწოვარა იყო, ხოლო უფროსი 14 წლისა. საცოდავები მძინარენი დაუხოცნათ. ამ საზიზღარის მკვლელობის მიზეზი გაქურდვა ყოფილა. დაწვრილებით ჯერ არ იციან, როგორ მოხდა ეს საქმე და ვინ ჩაიდინა იგი; ამბობენ მხოლოდ, რომ წინა ღამეს ვიღაც ნაცნობი მივიდა ებრაელის სახლში და ღამის გასათევად იქ დარჩენილა. დილით სტუმარი სადღაც წასულა, ამასთან ფული და ძვირფასი ნივთები სახლში აღარ აღმოჩნდა თურმე. თვით ებრაელი სხვა-გან ყოფილა.

*** რადგანაც დღესასწაულების მოახლოვებისა გამო ბაზარში აუარებელ სანოვაგესა ჰყიდიან, ქალაქის მოურავმა დაავალა სავაჭრო-სამეურნეო პოლიციას და სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს დიდი ყურადღება მიაქციონ იმას, თუ რა თვისების სანოვაგესა ჰყიდიან. მართლაც საჭიროა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას, რადგანაც ძალიან ხშირად ძველი და უვარგისი სანოვაგე გამოაქვთ ბაზარში.

*** 18 დეკემბერს ნიკოლოზის ქუჩაზედ თავის სადგომში მკვდარი ჰნახეს ახალგაზრდა კაცი კერჩინის მცხოვრებელი მარკუს პოტკოვი, რომელმაც ამას წინად დაამთავრა სწავლა ხარკოვის უნივერსიტეტში მკურნალის ხარისხით და ტფილისში ჩამოვიდა. მოკლულის წინ გასისხლიანებული ხანჯალი ეგდო.

*** 18 დეკემბერს ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე დ. კოვტუნენკოსი, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ თავის კალბასის მაღაზიაში ინახავდა გასასყიდათ ძველსა და გამოუსადეგარს ხორცს. ქალაქის მესამე ნაწილის მომრიგებელმა მოსამართლემ, როდესაც ეს საქმე გაარჩია, ბ-ნი კოვტუნენკო დამნაშავეთ სცნო და მიუსაჯა ერთის თვით საპყრობილესთან დაპატიმრება, ოლქის სასამართლომ ბ-ნი კოვტუნენკო გაამართლა,

## წერილი თელავიდგან.

13 დეკემბერს თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის გამგეობისაგან მიწვეულნი იყვნენ ყველა აქაურ დაწესებულების წარმომადგენელნი, აგრეთვე მოსწავლეთა მშობელნი და სხვა საპატიო მკვიდრნი დასასწრებლად სამადლობელ პარაკლისზედ, რომელიც დანიშნული იყო იმის გამო, რომ ამ სასწავლებელს დედათა პროგიმნაზიის უფლებანი მიენიჭა.

იმისდა მიუხედავად, რომ წინა ღამეს 85 სანტიმეტრის სიმაღლეზე დასთოვა, 12 საათზედ სტუმარნი და მასპინძელნი შეიყარნენ სასწავლებლის დარბაზში. პარაკლისის დაწყებამდე სასწავლებლის საქმის მწარმოებელმა, ბ-მა ზისერმანმა, წაიკითხა შემდეგი მოხსენება: „დღევანდელ დღეს აღინიშნება საგანგებო მოვლენა თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის ცხოვრებაში.

„წარსულის წლის ოქტომბერში საქველ-მოქმედო საზოგადოების გამგეობამ აღძრა შუამდგომლობა ამ სასწავლებლისათვის პროგიმნაზიის უფლებათა მინიჭების შესახებ. ეს შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა მის აღმატებულების, სამოსწავლო ოლქის მზრუნველის, კირილე პეტრეს ძის იანოვსკის მიერ.

„აგერ 30 წელიწადი არსებობს ეს სასწავლებელი, ყოველგვარ უფლებათა მოკლებული. ამ ხნის განმავლო-

# ფელეტონი

## წკიპურტი

8

ახალ-წლის მოახლოვება.—უაზრო და მავნებელი ჩვეულება.—ჩვენი მდგომარეობა და „ტკბილად დაგაბერო!“-ს ძახილი.—საერთო საქმეთა სივაგლახე უფულობისა გამო და ეტლით რიხინი.—სულისა და გულის დაბერება.—ჩიორას სადარბაზოდ არა სცალიან.—ქალები-და?..—იმათი გაგულისება და ქოქოლას ყრა ჩემზედ.—ერთი სარჩიელი ქალების მიმართ.—უცნაური ფიცი.—ასე მოიქეცით და მე ქოქოლა მომაყარეთ.

მოგვიახლოვდა შობა ახალ-წელიწადი, დრო მურაბისა, გოზინაყისა, ღორის თავისა და... დარბაზობისა. გათენდება ახალ-წლის დილა, ჩავსხდებით ეტლებში და დავრიხინებთ უაზროდ ნაცნობთა და ნათესავთა შორის. რა მინდაო? როგორ თუ რა? „მოგვილოცნია ახალი წელი! მრავალს ამ დროს დაგასწროთ! დღეს მშვენიერი დარია!.. ან ლაზათიანი თოვლი მოვიდა და მარხილები დაწრიალებს ქუჩებში“ და სხვა ამ გვარის ბაასით ვირთობთ თავს ხუთისა თუ ათის წუთის განმავლობაში თითოეულს ნაცნობთან და მერე გამოვალთ, ჩავცვდებით ეტლში და მივარახუნებთ ახლა მეორე ნაცნობის კარებს, რომ იქაც განვიმეოროთ: „დღეს მშვენიერი დარია... ან ლაზათიანი თოვლი მოვიდა და მარხილები დასრიალებს ქუჩებში“ და სხვა.

სტუმრობაა ესა, წვეულებაა?!. არა, ჩვეულება გახლავთ, უაზრო, უსაგნო, ყოვლად უხამსი და, უსარგებლო რა სათქმელია, მავნებელი ჩვეულება, რომელსაც ამ უაზრობასთან ორი შედეგი მოსდევს: ტყუილად დროს კარგვა და უბრალოდ ფულის ფლანგვა. სულ მცირედი რომ ჩავაგდოთ სათვალავში, ხუთ მანეთიდგან თუმნამდე ხარჯი მოსდევს ამ გზაკვალ დაბნეულს „ეტლით ხეტიალს“ და ვისთვის, რისთვის?!. „ტკბილად დაბერდიო!“ უნდა ვუთხრათ ერთმანეთს. რა სისულელეა, მტკნარი სისულელე, რომელიც ადამიანს, ამ ღვთის ხატებასა და მსგავსებას, სრულიად უგუნურად, დამთხვეულადა ჰხდის. პირში რომ სულ შაქრის ნატეხი გვედოს, ნუ თუ ეს „ტკბილად დააბერებს“ ვისმე ამ შხამითა, ნაღველითა და გაჭირვებით სავსე ცხოვრებაში?!. ეს სისულელე განა გვწამს კი?.. არა, არავისა სწამს და მაინც მისდევს, მაინც ასრულებს, ვინაიდგან „ჩვეულება“, რა სულელურიც უნდა იყოს იგი, „რჯულთ უმტკიცესია“!..

ან დაბერება-კი გვჭირია? გადაჰხედეთ ჩვენს ცხოვრებას და დარწმუნდებით, რომ მისის სიდუხჭირით, თუ გონება გვაქვს, გულიცა და სულიც დიდი ხანია დაბერებული უნდა გვქონდეს. რა მოაქვს სანუგეშო, რას აჩენს ჩვენი ცხოვრება ისეთს, რომ იგი ჩვენი დამქვევითებელი, ჩვენი გამამტვერებელი არ იყოს და, პირიქით, სიკეთეს გვიქადიდეს, რომ გული გაგვინორჩდეს, გაგვიჭაბუკდეს და დაბერებას, ისიც ტკბილად დაბერებას, ვუსურვებდეთ ერთმანეთს?!. საქართველოს რომელ ქალაქისა, დაბისა და სოფლის ამბავს ამოიკითხავთ, რომ უნუგეშობა, სიღარიბე, ხელ-მოკლეობა, დაძაბუნება არ ესმას თქვენს ყურს და გული და სული არ დაგიბერდეთ, და ჩვენ-კი... ნუშის გოზინაყის ნატეხი უნდა ჩავუდოთ პირში ერთმანეთს და „ტკბილად დაბერდი“-ო! მივაძახოთ... საერთო ჭირ-ვარამის თანაგრძნობა არ არის, მა რა დარდუბალა და დოხანაა...

ათი თორმეტი წელიწადია მომავალ დედათა სასწავლებლისათვის ვაგროვებთ ფულს და იმდენს ვერ მოუყარა თავი მთელმა ერმა, მთლად ქართველობამ, რომ ეს საშვილიშვილო საქმე განახორციელოს... ამდენივე ხანია გავიძახით,—საერო მუზეი დავიარსოთ და ამითი ძველი დიდება თვალსაჩენი გავხადოთ, დავიცვათო, და ესეც შეუძლებელია უფულობის გამო... მცხეთის დიდებული ტაძარი ირყევა და ირღვევა, განახლება სჭირია ამ ძველს ნაშთს ჩვენის ოდესმე წარჩინებულ ცხოვრებისას, ამ ემბაზს საქართველოს დიდებისას, და... ფული არა გვაქვს... ერთად-ერთი ჩვენი მოჭირნახულე „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ უძლურია უფულობით... და ჩვენ-კი, ყოველ ამის მსმენელნი და მნახველნი, გავჭაბუკებულვართ, ერთმანეთს შედედებულს თაფლს ვუწვდით: „ტკბილად დამიბერდიო!“, ეტლით დავრიხინებთ ერთმანეთთან „კაი დარია“-ს სათქმელად და სისულელის საფქვევლად!..

არა, არა, მე, ამ ჩვენის უბედურ და უნუგეშო ცხოვრების მაყურებელს, დიდი ხანია დაბერებული მაქვს სულიცა და გულიც და არც არავისი გოზინაყი მინდა და „ტკბილად დაბერება“ და ვერც ვერავის გავუწევ უაზრო მიკვლეობას. ვისაც ჯერ კიდევ არ გასტეხია გული და თანდათან ჰაბუკდება ცხოვრებით დამტკბარი, ვისაც „დაბერება“ სჭირია და გოზინაყ-მურაბა ენატრება, იმათთვის დამილოცნია ერთიცა და მეორეც, ეტყობა იმათ თვალი ხედვად არა ჰქონიათ და ყური—სმენად...

კაცები ხომ ვაგლახნი არიან, მაგრამ ე ჩვენი ქართველი ქალები?.. აბა შეეკითხეთ, თუ მაშინვე მაღალ-ფარდებიანი, რახა-რუხიანი სიტყვები არ წამოისროლონ მამულიშვილობის შესახებ, ქვეყნის ტკივილი არ გამოისახონ სახეზედ, როდესაც გული არშიყობითა და სიამოვნებით დატკბობის სურვილით აქვთ მხოლოდ სავსე. გათენდება ახალ-წლის დღე და გამოიპრანჭ გამოიკრიხებიან, უმა-

ბაში ყოფილა ისეთი წამებიც, როცა სასწავლებლის არსებობა საეჭვოდ გამხდარა, რასაც არა სასარგებლო გავლენა ჰქონდა თვით სწავლების საქმეზედაც. დღეს-კი იგი, შეჭურვილი დედათა პროგიმნაზიის უფლებით, აძლევს უპირატესობას აქ მოსამსახურეთა და ამ სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ, რომელთაც ადვილად შეუძლიანთ მასწავლებლის უფლება მოიპოვონ სასოფლო სამინისტრო სასწავლებლების და აგრეთვე დედათა გიმნაზიის 5 კლასში გამოუცდელად შევიდნენ, თუ შემსვლელთა სიმრავლისა გამო არ იქმნა დანიშნული სამეტოქეო გამოცდა“.

მოხსენების წაკითხვის შემდეგ დაიწყო პარაკლისი ამ სასწავლებლის საღმრთო სჯულის მასწავლებელმა მ. შიუკაშვილმა. პარაკლისის გარდახდის დროს გალობდა მოსწავლეთა გუნდი, ბ-ნის სულხანიშვილის ლოტბარობით.

პარაკლისის შემდეგ ბ-ნმა შიუკაშვილმა გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც ეს ახალი წყალობა მიულოცა ყველას და განსაკუთრებით მოსწავლეთა მშობლებს. უკანასკნელნი ამხილა მამა შიუკაშვილმა საზოგადოდ სასწავლებლების შესახებ ნაკლებ მზრუნველობისათვის. ამის შემდეგ ბ-ნმა მაყნიკოვმა, რომელიც მზრუნველისაგან დანიშნულ იქმნა პროგიმნაზიის საბჭოს თავმჯდომარედ, მიულოცა მოსწავლეთ. შემდეგ თავჯდომარემ გამგეობისამ ქ-ნმა სოფიო სტანისლავის ასულმა განსევიჩისამ მიულოცა ყველას.

ამ სამადლობელს პარაკლისს არც ერთი მოქალაქე არ დაესწრო და არც ერთი წარმომადგენელი ქალაქის თვით მართველობისა. ეს გარემოება მართლაც თითით საჩვენებელია!

ნადიკვრელი

ვრებ მეგრელ-ქართველობას ამიერიდგან ეძლევა უფლება წირვა ლოცვა ქართულად, სამშობლო ენაზედ მოისმინონ.

ვგონებ ეხლა შეუძლიან მკითხველს საკმაოდ გაითვალისწინოს ის სიხარული, ის აღტაცება, რა სიხარულ-აღტაცებაც გამოიწვია აქაურ ქართველ მცხოვრებთ შორის უწმიდესის სინოდის სამართლიანმა ბრძანებამ. უეჭველია, ზნეობრივის მხრივ დიდს და თვალ-საჩინო ნაყოფს გამოიღებს ეს განკარგულება.

ამიტომაცაა, რომ სამართლიანმა განკარგულებამ უწმიდესის სინოდისამ უზომოდ გაგვახარა.

როგორც მკითხველს ეხსომება, სოხუმის ქართველობამ არა ერთხელ მოინდომა თავისი საკუთარი საყდარი აეშენებინა, მაგრამ აქამდის არ ხერხდებოდა. დღეს-კი უწ. სინოდის განკარგულების გამო, იმედია, ამ საქმის მოთავენი ხელ-ახლა გულმოდგინედ შეუდგებიან და სასურველად განახორციელებენ ამ საშვილი-შვილო საქმეს. დროა აქაურმა ქართველობამ გამოიღვიძოს, გარდა თავისის პირად საქმეებისა, საზოგადო საქმესაც ერთად, თანხმობით მოჰკიდოს ხელი, გულგრილობა, ზარმაცობა საზოგადო საქმეში აწ მაინც მოიშოროს თავიდგან და დანარჩენ ქართველთ აჩვენოს, რომ ისიც ქართველია გულით, საქმით და არა უაზრო სიტყვით! ჩვენ, სოხუმელთათვის, აგრეთვე საჭიროა ქართული სამრევლო სკოლაც.

ჰამუთ-ბეი

## წერილი ოსეთიდგან

ამ ჟამად, როგორც ბარის ოსებში, ისე მთის-ოსებშიაც დიდი სურვილი არის სწავლა განათლების მიღებისა. ყველა სოფლებში ჰმეცადინეობენ, რომ ერთ-ურთ წინ გაუსწრონ ამ კეთილ-საქმეში და უკან არ ჩამორჩნენ. აშენებენ თავიანთ ხარჯით საუკეთესო შენობებს სკოლისთვის, იწვევენ მეორე მასწავლებელს (თითო მასწავლებელს მთავრობა აძლევს ჯამაგირს) თავიანთის ხარჯით და სხვა... ერთი ამისთანა საქებური სოფელი არის ამ ჟამად დარლავსი. დარლავსელებიც სხვა მთის ოსებივით შეუძლონი და ხელ-მოკლენი არიან, მაგრამ ამის მიუხედავად, შარშან დაიწყეს სკოლის შენობა და წლამდის გაათავეს. დარლავსელებს შენობა დაუჯდათ სულ ოთხასი თუმანი (4000 მ.), მაგრამ სწორეთ მოგახსენოთ, უცხო კაცმა რომ ნახოს, არ დაიჯერებს, თუ ღარიბ ოსებს შეეძლოთ თავიანთის ხარჯით ამ ნაირის მშვენიერის შენობის აგება. ამ სკოლის აშენების საქმეში დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის სოფლის მამასახლისს სალამოვს. მეორე მასწავლებელიც მოიწვიეს და სკოლის შენობა 8 ნოემბერს აკურთხეს და დღეს ას ორმოცამდინ (140) მეტი ბავშვი სწავლობს. სოფელი სანება სულ ათი ვერსით არის მოშორებული დარლავისაგან.

აქეთ, ოსებში, საზოგადოდ ქალები ძლიერ გვიან თხოვდებიან. მიზეზი არის დიდი ურვათი, რომლის მოსპობასაც არა ეშველა რა. მაგრამ, რას იზამს მთავრობაც, როცა, იმ ერთი ანდაზისა არ იყოს: „ციხე შიგნიდგან ტყდებაო“; ხალხი თვითვე არღვევს მთავრობის განკარგულებასაც და თავისის მიერ დადგენილს განაჩენსაც; ურვათს იხდიან ჩუმად შეძლებულნი და შეუძლებელნი, რადგანაც უურვათოდ ქალს არავინ იძლევა. ვისაც შეძლება არა აქვს, ის ან ქურდობს ან იტაცებს ქალს, რომელიც ხშირად სისხლის ღვრით და შფოთით თავდება. — ეს-კია, რომ ამ ბოლოს დროს, მოთმინებიდგან გამოსულმა ქალებმა სხვა ხერხს მიჰმართეს. ხშირად დედ-მამის დაუკითხავად მალვით გაჰყვებიან ხოლმე საქმროებს. ამას წინად, მაგალითად, ნოემბრის თვის 28-ს, ღამე, თმენიყავში მცხოვრების ქუძა გაფილოვის ქალი, რომელიც ხუთი წელიწადი მეტია დანიშნულია, გაიპარა და გაჰყვა თავის დანიშნულს; მაგრამ ბედმა უმტყუნა საბრალოს: მამამ მალე გაიგო ქალის გაპარვა; გამოუდგა მდევრით, სიძე დაიჭირა თავისის ცხენ-ურმით, ხოლო ქალმა თავისის ხელის მომკიდათი (კუხილხაძავა) სოფ. სანებაში ერთის მოსახლისას შეაფარა თავი. მეორე დღეს ქალმა უარი განაცხადა, — მამის სახლში არ დავბრუნდებიო. ხალხმა მოარიგა სიძე-სიმამრი და დანიშნული სასიძოს გაატანეს. კიდევ კარგი, რომ უშფოთოდ ჩაიარა ამ საქმემ.

აქეთ გიორგობისთვეში მშვენიერი ამინდები იდგა, მხოლოდ სამს დეკემბერს მოვიდა თოვლი და სიცივეებიც დაიჭირა. პურის ფქვილის ფასი არ იკლებს აქეთ, უფრო ჰმატულობს.

ქართველი ოსებში

# რუსეთი

—

საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ იმ ახალგაზდა ყმაწვილ კაცთ, რომელთაც მეორე ხარისხის „ვოლნოოპრედელიაიუშჩის“ მოწმობა აქვთ მიღებული, საოფიცერო შეგირდის ხარისხის მისაღებად უნდა მხოლოდ დამატებითი ეგზამენი დაიჭირონ ლათინურსა და ერთ-ერთს ახალს ენაში.

— გაზ. „С. О.“ იუწყება, რომ რადგანაც ამ ბოლოს დროს ძლიან გავრცელდა ყალბი რვა კაპიკიანი საგერბო მარკები, მთავრობამ გადასწყვიტა სასტიკი ზომები მიიღოს იმათ წინააღმდეგ, ვინც ასეთ მარკებს ამზადებს.

— როგორც „წითელის ჯვრის“ საზოგადოების ანგარიშიდგან სჩანს, ამ საზოგადოებას მოუსავლობით დაზარალებულ გუბერნიებში მცხოვრებთა სასარგებლოდ გაუგზავნია ფულად უფის გუბერნიაში 125,487 მანეთი, ყაზანისა — 159,825 მ., სიმბირსკისა — 112,102 მ., სამარისა — 135,581 მ., სარატოვისა — 58,878 მ., ვიატსკისა — 13,233 მ., პერმისა — 34,680 მ., ტულისა — 39,000 მ., რიაზანისა — 44,683 მ., სულ — 723,470 მანეთი.

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ მთავრობამ გარდასწყვიტა დააარსოს ქარხნებისა და ფაბრიკების მთავარი და საოლქო სამმართველოები და ინსპექტორების ახალი თანამდებობანი. ამ საქმისათვის შინაგან საქმეთა მინისტრი თხოულობს, რომ ნახევარი მილიონი მანეთი იქმნას გადადებული.

# უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** ჯაშუში დეკრიონი, რომელიც ამ დღეებში დატყვევებულ იქმნა პარიჟში, ერთს დროს მთავარ შტაბის საიდუმლო განყოფილებაში მსახურებდა, მაგრამ პიკარმა სამსახურიდგან დაითხოვა იგი. როცა პიკარმა მთავარს შტაბს თავი დაანება, დეკრიონი ისევ მიღებულ იქმნა სამსახურში ანრის მიერ. გაჩხრეკის დროს, დეკრიონს აღმოაჩნდა გერმანიის საიდუმლო აგენტების წერილები, რომლებშიაც იმას ესაყვედურებიან, რომ შენ მიერ გამოგზავნილი ცნობები დიდად საინტერესონი არ არის ჩვენთვისაო. ამ სიტყვებიდგან ის აზრი გამოჰყავთ, რომ საფრანგეთში ახლად გამოგონილ ზარბაზნის საიდუმლოებას ჯერ არ აქვს გაგებული გერმანიის მთავარს შტაბსა.

ამბობენ, რომ დეკრიონი ძლიერ ჭკვიანი და ნიჭიერი კაცია, მაგრამ ამასთანავე უსინდისო და ანგარების მოყვარეო. დეკრიონსა და ანრის კარგი მეგობრობა ჰქონიათ ერთმანეთთან, თუმცა-კი ჯერ დაწვრილებით გამორკვეული არ არის, რაში მდგომარეობდა ეს მეგობრობა. ეჭვს გარეშე მიაჩნიათ, რომ საიდუმლო დოსიეს ერთი ნაწილი დეკრიონის შედგენილია და ამასთანავე იგი მხურვალე მონაწილეობას იღებდა ესტერგაზის გამართლებაშიო. ამის შემდეგ მეგობრებს ერთმანეთ შორის რაღაც უსიამოვნება მოსვლიათ და განშორებიან ერთი მეორეს.

გაზეთების სიტყვით, დეკრიონს აზრად აქვს ბევრი ახალი რამ გამოამჟღავნოს დრეიფუსის საქმის შესახებ. გამომძიებლის ყველა კითხვაზედ დეკრიონი თამამად იძლევა თურმე პასუხს. ის მუდამ იმეორებს, რომ უმნიშვნელო საიდუმლოებს ვჰყიდდი იმ აზრით, რომ მათ ნაცვლად დიდ მნიშვნელოვანნი საიდუმლონი შემეძინაო.

დეკრიონისა და მისის ამხანაგების

## წერილი აფხაზეთიდგან.

6 დეკემბერი

როგორც გაზეთებში უკვე იყო დაბეჭდილი, სოხუმის ოლქში მცხორილ-შუშტაკით მოილამაზებენ საცბიეროდ გალესილს პირს და დაბრძანდებიან, რომ უსაქმო მოდარბაზენი, იმათებურად — „ვიზიტიორები“, ისტუმრონ. ამ დღეს ასე უხამსოდ გაატარებენ, მეორე დღეს აიწევენ კაბის კუდებს და დაგლიჯინობენ ერთმანეთთან, — „ახალ წლის მეორე დღე ქალებისაა!“

დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი ქალი, ტფილისში იქნება, ქუთაისსა, თელავსა, ბათუმსა, ფოთსა, გორსა, ხონსა, თუ საქართველოს რომელსამე სხვა ქალაქში, ამოიკითხავს რა ამ სიტყვებს, კოქოლას დაიყრის ჩემს წკიპურტს და იქნება „მეხი-კი დაგეცა“-ც თან დააყოლოს, მაგრამ წკიპურტი მაინც ეწკიპურტებათ და იქნება ბევრს მათგანს გაუწითლეს კიდეც სიმწვავით ლამაზი ცხვირის წვერი. მით უფრო მოსალოდნელია ცხვირის წვერის გაწითლება, რომ უმარილს, როგორც მოგეხსენებათ, ეს ნაწილი ჩვენთა, ოდესმე ნეტართა, დედათა მშვენიერებისა ძნელად იმაგრებს.

ვიცი, ეს სიტყვები გააგულისებს ქალებს, ვიცი, რომ თავისს მშვენიერს თვალებს მრისხანედ დამიბრიალებენ, მაგრამ მაინც დღეს იმათთან ჩხუბს არა ვარ მოწადინებული და, რა-კი დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი „ლხინიკო უქმაძეები“, ჩვენი წვერ-ულვაშიანი ბავშვები არ მოიშლიან ძველს წესსა და ჩვეულებას, კვლავინდებურად მირიხინდებიან ერთმანეთთან ეტლით სამეკვლეოდ, სისულელის საჩმახავად და ჭორების საჩალხავად, — ერთის სარჩიელით უნდა მივმართო ქალებს.

ქალებო! თუ გნებავთ დაამტკიცოთ, რომ თქვენი ნაზი გრძნობა მარტო სატრფიალოდა და საარშიყოდ არ არის აძგერებულ-აძლერებული და საზოგადო საქმესაც შესტრფის, თუ გნებავთ დაარწმუნოთ თქვენი უმორჩილესი და ურწმუნო მონა, რომ თქვენ ხონარ-შემოჭერილ „კარსეტს“ ქვეშ გული სცემს, ნამდვილი გული ქართველის ქალისა, და არა გამოფიტული, უბრალო ხორცის პარკი, — ამ საახალწლოდ მაინც ერთი კეთილი საქმე მოიქმიანეთ. თუ გეწვიოთ „ტკბილად დასაბურებლად“ რომელიმე უსაქმო ვაჟბატონი, სულ ერთია, ვინც უნდა იყოს, ნაცნობი, თუ ნათესავთაგანი, წინაალმდეგ ჩემ მიერ ზემორე თქმულისა და ბ-ნ ია... ფა—ლის წინადადებისა *), გარდაახდევინეთ ჯარიმა ერთიდგან ხუთ მანეთამდე შეძლების კვალობაზედ რომელისამე საზოგადო საქმისათვის... ეს ფული, თქვენგანვე დასახელებით, თუ რომელ საქმისათვის მოხმარებას ამჯობინებთ, — წარმოუგზავნეთ რომელსამე ქართულს რედაქციას, რომელიც, დარწმუნებული ვარ, იკისრებს და გამოაცხადებს, — რომელმა ქართველმა ქალმა რამდენი მოჰკრიბა ახალ-წლის დღეს და რა ჭირისუფლობა და გულის ტკივილი აღმოუჩინა საერთო საქმეს.

ვფიცავ თქვენს მშვენიერებასა და ჩემს სიმახინჯეს, ვფიცავ ივანოვიჩის გაპიანურებულს წერასა და „ნოვუს“-ის კეთილ სინიდისიერს კილოს; „კვალი“-ს საუცხოო ქართულს, მისის „იურისტი“-ს კანონების ცოდნასა და მთლად მისთა თანამშრომელთა ნახატებიანს მეცნიერებას; ვფიცავ ჩვენ „მარქსისტთა“ განვითარებულსა და შორს-მხედველს გონებას, „ცნობის ფურცლის“ „ნობათებსა“ და ძმათა თუმანოვების „ანარხისტ“ მამლებს; ვფიცავ ჩვენის ქალაქის თვით მმართველობის ნაყოფიერს მოღვაწეობას, მისთა ხმოსანთა საქმიანს ლაპარაკსა და ჩვენის ყასბებისა და ნიხრის შერიგებას; ვფიცავ ჩვენის ქალაქის მიერ ცხენის რკინის გზის შესაძენად დახარჯულს ფულს, ქუთაისის „გასართობი“-ს კეთილ-მოქმედებას, სოხუმის ექიმების ავადმყოფთა მიმართს გულის ტკივილს, სიღნაღში გაყიდულ თამასუქის ქაღალდების სარგებლობას, მუნჯურს მეთოდს, ქართველ „ლხინიკო უქმაძეების“ მიერ გაკეთებულს საქმეს; ვფიცავ „დრამატიულ საზოგადოების“ გამგეობის მიერ ამ სეზონში წარმოდგენილ ახალს პიესებს და ბ-ნ კავთელისა და ბ-ნ იმერიძის სასცენო ნიჭს; დასასრულ, ვფიცავ ახლად დაარსებულ „გადმომსახლებულ საზოგადოების“ წევრთა კეთილ-მოღვაწეობას და საზოგადოდ მთლად ჩვენს „გაბანკრატ-გავანიუხებულს“ ცხოვრებას, — რომ ასეთი თქვენი საქციელი, ქალებო, თქვენს მშვენიერებას ერთი ათასად სიტურფის შუქსა და ნათელს მიჰფენს!..

აბა ჰე, ცდა თქვენი და თანაგრძნობა ქვეყნისა!.. იმედია, ისეთ ნაზს, ისეთს მომხიბლველსა და გულ-წარმტაცს ღიმილს დაატანთ ზედ, როდესაც თქვენს ნაცნობ, „წვერ-ულვაშიან“ ნაწილს კაცობრიობისას ფულის თხოვნას დაუწყებთ ამ კეთილის აზრით, რომ არა ერთი და ორი „ლხინიკო უქმაძე“ გაისვამს საზოგადო საქმის სასარგებლოდა და საკეთილოდ ჯიბეზედ ხელს. ყოველი ქართველი ქალი რომ ასე მოიქცეს და ხუთ მანეთზედ მეტიც ვერ მოჰკრიბოს, ეს ხუთ-ხუთი მანეთი, ერთად შეკრებილი, ას თუმნებად იქცევა და ჩვენის ერის სუსტს ფრთას ერთს მაგარს ბუმბულს მაინც შესძენს ზე ასამართავ და ასაფრენ ღონის მოსაპოვებლად. თქვენ ასე მოიქეცით და მე კი თუნდა კოქოლა მომაყარეთ, თუნდა „მეხი დაგაყარე!“ ო მომაძახეთ, არა მიჭირს-რა!...

ჩიორა

*) იხ. ამავე ნომერში დაბეჭდილი წერილი „მოვიხიტე ქართველთა, მიმართ“.

საქმეს გაარჩევს პარიჟის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. დრეიფუსის მიერ მოწვეულმა გამოჩენილმა ვექილმა დეკორიმ უარი განაცხადა მისის დაცვისა.

—

**იტალია.** როგორც გაზეთები იუწყებიან, ანარქისტთა წინააღმდეგ ღონისძიებათა გამოსარკვევად შემდგარ კონფერენციის წევრებს, დაიშალნენ რა 10-ს დეკემბერს, ერთმანეთისათვის პატიოსანი სიტყვა მიუციათ, რომ კონფერენციის დადგენილებას საიდუმლოდ შეინახავენო. კონფერენციის დახურვისთანავე დაუწვავთ ყველა ოქმი და საბუთის ქაღალდი, რომელნიც კონფერენციის თათბირს შეეხებოდნენ. კონფერენციის დადგენილებანი ამ რიგად სრულის საიდუმლოებით არის მოცული. მხოლოდ ის იციან, რომ ორი უმთავრესი დადგენილება, რომელთაგან ერთს საერთო მნიშვნელობა აქვს ყველა სახელმწიფოსათვის, ხოლო მეორეს — კერძო ხასიათი, თითოეულ სახელმწიფოს განსაკუთრებულ კანონებისა და ადგილობრივ გარემოებათა მიხედვით.

—

**ინგლისი.** გაზ. „Daily Nevs“-ის სიტყვით, ბრიტანიის მთავრობას გარდაუწყვეტია, ჩინეთისაგან შეძენილი ქალაქი ვეი-ჰაი-ვეი გაამაგროს და გემების თავშესაფარ ციხედ გახადოს. რაც ამისთვის ფული იქნება საჭირო, იმას მომავალის წლის ხარჯთ აღრიცხვაში შეიტანენ.

—

**ამერიკა.** შეერთებულ შტატების ზოგს ადგილას შესამჩნევად მძვინვარებს ინფლუენცია. როგორც გაზეთები იუწყებიან, ნიუ-იორკის სანიტარულ საბჭოს დაუდგენია, რომ რადგან ეს სენი კოცნით ერთისაგან მეორეს ემართება, მთავრობის განკარგულებით უნდა აიკრძალოს კოცნა, როგორც სენის გამავრცელებელი საშუალებაო.

## რა ვუყოთ ბანკიდგან მისაღებს ფულს?

„ივერიის“ მე-264 №-ში წავიკითხე ანტონ ფურცელაძის წერილი იმის შესახებ, თუ რა ვუყოთ ფულს, რომელიც დამფუძნებელთ უბრუნდებათ სათავად-აზნაურო ბანკებიდგან. წერილის ავტორი გვირჩევს, რომ სწავლა-განათლებას მოვახმაროთ ეს ფულიო. ასეთი კეთილი აზრი ბევრი არ დაწერილა გაზეთებში. ეს ფული რომ დასახარჯავად გამოვიტანოთ და ასეთ საკეთილო საქმისთვის არ გადავსდოთ, დიდი შეცდომა იქნება. დიდიც არა შემატებარა არავის ოჯახს ამ ფულების დახარჯვით: თუნდ თითო ქათმის ვემ რცხი თითო ოჯახისთვის, თუნდ მგ ფული. იგი თუ სწავლა-განათლებისთვის გადაიდო, მაშინ სულ გავასწორებთ შეცდომას, რაც ჩვენის ჩამომავლობისთვის გაგვიფუჭებია საქმე; ვედარავინ გვეტყვის არა იზრუნეთ რაო. ჩემი სახლის კაცები, ყველანი წევრები არიან ბანკისა და ჩვენ ამ საკეთილო საქმეს მოხმარდეს მათი ხვედრი ფული. აი ჩემი აზრი ამ საგნის შესახებ: ვსთხოვოთ გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალს, მისწეროს მაზრის მარშლებს, — ყველამ თავისს მაზრაში სხვადა-სხვა ადგილას დაიბაროს თავად-აზნაურნი და კაიგოს ვინ არის მსურველი, თავისი ხვედრი ფული რომ სწავლა-განათლებას მოხმარდეს. ეს ყველამ კარგად იცის, რომ ძალიან თავ-მოყვარე ხალხი ვართ ქართველნი; თუ ნებაზედ მიდგა საქმე, სულსაც არ დავიშურებთ და თუ შეგვაწერეს რამე, არაფერს გამოვიმეტებთ. მარშალს სია უნდა ჰქონდეს, ვის რამდენი ფული ეკუთვნის ბანკიდგან. იმედია, ამ შრომას მარშლები არ დაზოგამენ და ყველას გააბედვინებენ ხელის მოწერას. მართალია, დიმიტრი ყიფიანს ხეირიანად მადლობაც არავინ გადაუხადა, რომლის მიზეზითაც ეს საკეთილო თანხა გვაქვს, მაგრამ მარშლებს ასე არ მოუკვათ და დაუვიწყარ სახელს მოიპოვებენ.

ტფილისის ნათავად-აზნაურო ბანკის დამფუძნებელი წევრი თ. ვ. თაქთაქიშვილი

## „მოვიზიტე“ ქართველთა მიმართ

ზვერჯელ ყოფილა აღძრული ყურნალ გაზეთებში ფრიად სასარგებლო-საჭირო და საშვილიშვილო საქმის შესახებ საუბარი. ეს გახლავთ ის საერო სახლი, რომელშიაც უნდა მოთავსდეს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მუზეუმი, დიდი საკრებულო დარბაზი, სამკითხველო, თეატრი და სხვა. ის საუბარი და მსჯელობა საუბარ მსჯელობადვე დარჩა და თვით იმათაც კი არ გამოიღეს თავიანთი წვლილი, რომელნიც ჰქადაგებდნენ საერო სახლის უსაჭიროებას ქართველთათვის.

მოდით, ჩვენს მოთხოვნილება-საამოვნებას ამ ახალ წელიწადს დღეს ცოტა ფრთები შევაკვეცოთ და მის მაგიერ, რომ ჩვენი ნაცნობ-ნათესავნი ვასიამოვნოთ სხვა და სხვა საჩუქრებით, მის მაგიერ, რომ ვასიამოვნოთ ჩვენი თავი ეტლით სადარბაზოდ სიარულით, გადავდოთ იმ სახარჯო ფულიდგან რამდენიმე ნაწილი ყველასათვის სასიამოვნოსასარგებლო „საერო სახლის“ ფონდისთვის. რითაც შეგვეძლება შევასრულოთ საშვილი-შვილო მეგლის აგება, თუ რასაკვირველია ყველა ქართველი მონაწილეობას მიიღებს შეძლებისა და გვარად. მეც ჩემს წვლილს ხუთს მანეთს ვუგზავნი „ივერიის“ რედაქციას, რათა მიუმატოს „საერო სახლის“ ფონდს.

რუისელი ია...ფა—ლი *)

სად. ქურდამირი.

## დამაკვირდი

ერთი ზოროტება ყოველთვის მეორესა ჰქმნის ხოლმე, და კიდეც ამიტომ არის იგი დამღუპველი.

* *

მკითხაობა დიდი ცოდვა არის.

ეპისკოპოსი გაბრიელ

* *

ცუდი დიდებაა ნუოდეს წარვიტაცებნ.

ნიკოლოზ ტფილელი

*) სიამოვნებით ვბეჭდავთ ამ წერილს და ყოვლად თანავუგრძნობთ ბ-ნ ი. ფ—ლის აზრს. უსარგებლო დარბაზობას და ეტლით რიხინში ფულის ხარჯვას, რასაკვირველია, უკეთესი იქნება, რომ ეს ფული „მუზეის“ ასაგებ თანხას მივაკეცოთ. ვინც ამ სახით ფულს გამოგვიგზავნის, იმათს სახელსა და გვარს გაზეთში დავბეჭდავთ. რათა იმის ნაცნობებს ეუწყოს, რომ შემომწირველნი საახალწლო დარბაზობას იცილებენ თავიდგან და სამაგიერო ხარჯს მუზეის სასარგებლოდ იხდიან. რედ.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკელმა მეცნიერმა ტესლამ სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა ელექტრონის ძალის ახალი თვისება, რომელიც აქამდე არავისა სცოდნია. ტესლა თავისს ლაბორატორიაში ელექტრონის ძალასა სცდიდა. ამავე ოთახის ერთს კუთხეში იყო თითბრის მრგვალი ფიცარი შავად შეღებილი. უეცრად თითბრის ფიცართან შავი კომლი გაჩნდა და ტესლამ დაინახა, რომ თითბრის ფიცარს სულ მოშორდა შავი წამალი და ფიცარი ბრჭყვიალებდა. ტესლამ ხელ-მეორედ შეღება თითბრის ფიცარი და ელექტრონის მანქანა აამუშავა. ფიცარი კვლავ გასუფთავდა. მაშინ ტესლამ იფიქრა, შესაძლებელია ელექტრონი გამოიყენოს კაცმა კანის გასუფთავებისათვისაო. სცადა ამ მხრივ ელექტრონის ძალა და დარწმუნდა, რომ ელექტრონს ისე შეუძლიან გაასუფთავოს ადამიანის კანი, როგორც ვერც საპონი გაასუფთავებს და ვერც ცხელი წყალი. გარდა იმისა, რომ ელექტრონი ასუფთავებს კანს, იგი ჰხოცავს კანში ჩამჯდარ მიკრობებსაც და არჩენს მუწუკებს. რომ უფრო დარწმუნებულიყო ელექტრონის ამგვარ თვისებაში, ტესლამ ხელი ყარანდაშით დაიხაზა, მერე ელექტრონის მანქანას შეეხო და ერთს წუთში ხელის გულზე დახაზული ხაზები გაჰქრა. თვით ტესლაცა და სხვა მეცნიერნი ამტკიცებენ, რომ ამიერიდგან შესაძლებელი იქმნება ელექტრონის ძალით ტანის გასუფთავება, სახლებისა და ქუჩების დეზინფექცია და სარეცხის გარეცხვა.

* * *

ამ ჟამად ნიუ-იორკში ინფლუენცია მძვინვარებს. მიზეზი ცუდი ტაროსია. ნიუ-იორკში რამდენიმე ათასი კაცი გახდა ავად. უნივერსიტეტში სწავლა შეჩერებულია, რადგანაც 400 სტუდენტი და 50 პროფესორი ინფლუენციით გახდნენ ავად.

* * *

ჩინეთის მთავრობას განზრახვა აქვს სან-ფრანცისკოში პირველ დასაწყისი სკოლა და უნივერსიტეტი დააარსოს ამ ქალაქში მცხოვრებ ჩინელებისათვის. ჩინეთის იმპერატრიცა ამ საქმეს დიდს დახმარებას შეჰპირდა.

* * *

შანჰაიდგან იწერებიან, რომ განგშაუს დიდი უბედურება მომხდარა. თოფის წამლის სარდაფი აფეთქებულა და დახოცილა 3 ათასი ჯარის კაცი თავიანთის გენერალით. მრავალი სახლიც დანგრეულა, მათ შორის საფრანგეთისა და ამერიკის საელჩოთა სახლებიც.

* * *

ამერიკის რკინის გზებზე მალე ყველა მატარებელს ექმნება ვაგონ-თეატრი. ეს ვაგონი ორად იქმნება გაყოფილი, ერთს მხარეს იქმნება სცენა, მეორე მხარეს ადგილები 60 მაყურებლისათვის. წარმოდგენები ამ თეატრში გაიმართება დილის 10 საათიდგან ღამის 12 საათამდე. წარმოდგენის ბილეთებს გაჰყიდიან სადგურებში და თვით მატარებელშიაც კონდუქტორები. კვირაუქმე დღეს წარმოდგენების მაგიერად ამ ვაგონში წირვა-ლოცვა იქმნება.

## გამოსადეგი ცნობა

ჩვენი ერთი უხეირობა ის არის, რომ ზამთრის ხილის შენახვა არ ვიცით. ხშირად, მაგალითებრ, ზამთრის მსხალი, რომელსაც მოუწევრად ვკრებთ, რომ მერე დამწიფდეს, გვილპება და გვიფუჭდება. რომ ეს არ მოხდეს, აი, თურმე როგორ უნდა მოიქცეს კაცი: თიხის ჭურჭელი უნდა აავსოთ წვიმის ანკარა წყლით, სკოლის აფთიაქში დაწმენდილი (дистилированная вода) აადუღოთ და იგი თიხის ჭურჭელი ორის ციდის სიმაღლემდე აავსოთ. მერე აი იდეთ ერთი ნაჭერი თუნუქი (ჟესტი) მთლად დასჩხვლიტეთ ცხრილსავით, ფეხები გაუკეთეთ და ჭურჭელში ჩასდგით, რომ თუნუქი წყალს ზევით იყოს. მერე თუნუქზე დააგეთ ტილო და ზედ დააწყეთ მსხალი, კიდრე ჭურჭელი მთლად აივსებოდეს და შესდგით სადმე ან თაროზე, ან შესაფერ ადგილის ოთახში, სადაც სითბო არ აღემატება 15 ს 16-ს გრადუსსა. ამ ნაირად მოუწევარი მსხალი ზამთრისა ისე კარგად მწიფდება თურმე, რომ არც თავისს ლამაზს ფერსა ჰკარგავს, არც გემოსა. იმ ჯიშის მსხალი, რომელიც მალე ჭკნება, იმ სახითვე უნდა ჩაეწყოს, როგორც ზევით აწერილია, ხოლო სარდაფში კი უნდა დასდგან მსხლით სავსე ჭურჭელი და სითბო ხუთი გრადუსი უნდა იყოს. თანაბრად 5 გრადუსიან სითბოში მსხალი თურმე გვიან მწიფდება, მაგრამ უფრო უკეთესად და სრულად.

## გასართობი

### ტყუპი

— მითხარ, ძმაო, აქ სდგას ბატონი ოშიაური?

— რომელსა ჰბრძანებთ, მაგ გვარისა ორი გვყავს მდგმური...

— იმას ვკითხულობ, — მდიდარია, მაღალ-მაღალი...

— მაგ ორ თვისებით არც ერთს მათგანს არა ჰყავს ცალი.

— შავგვრემანია, გრძელ-ულვაშა... რით გაგაგონო!..

— მაინც ვერ მივხვდი... აგეთია ორივ, ბატონო.

— რომელიც უფრო კეთილია, ის თუ იქნება?

— გულ-კეთილობით ერთს მეორე არ ჩამორჩება.

— ისა, რომელსაც მეუღლე ჰყავს მეტად ლამაზი...

— ორივეს ცოლი მშვენიერი, ტურფაა, ნაზი.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, რით ვერ მიხვდი! მე მინდა ისა,

რომლის ცოლი სატრფიალოა, ქმრის გარდა, სხვისა.

ქმარს არა ჰკმარობს, საარშიყოდ სხვა კაცთან დადის...

— ჰმ... ბატონო, ორივეს ცოლი მაგ საქმეს სჩადის.

ახ...

## დეპეშა

19 დეკემბერი.

**პეტერბურღი.** უმაღლესი ბრძანება: „ოქროს ფულის ანგარიშის გასაადვილებლად, სასარგებლოდ ვსცანით ჩვენ მოჭრილ და გამოკვეთილ იქნეს სახმარებლად, იმპერიალისა, ნახევარ იმპერიალისა და ხუთ მანეთიანის გარდა, აი მანეთიან ოქროს ფული. ათ მანეთიან ოქროს ფულის დამზადებისათანავე, გამოიცეს იგი სახმარებლად“.

**პარიჟი.** აღდგენილ „პატრიოტთა ლიგის“ საზოგადო კრებამ ლიგის პრეზიდენტად დერულედი აირჩია.

**კანეა.** აღმასრულებელი კომიტეტი დათხოვნილია. სფაკიონაკისმა უარ ჰყო მისდამი მინდობილობა პატონიშვილის გიორგისა. ვინაიდგან ეხლანდელს გარემოებაში მის მაგიერი კაცის შოვნა ძნელია, სფაკიონაკის დეპეშა გაუგზავნა ბატონიშვილმა და დაიბარა.

### პეტერბურგის ბირჟა, 18 დეკემბრი

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გარიგებისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 220 |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | 95¼ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 101 | — „ | — |
| 5% იმავე ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 99¾ | — „ | — „ |
| 4½% იმავე ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 99¾ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 299½ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | — „ | — „ | 263 |

## „ივერიის“ ფოსტა

**ბუნჩულას.** არც ერთი ლექსი არ დაიბეჭდება.

**დ. საგირთელს.** საყურადღებოდ არ მიგვაჩნია თქვენი წერილი. იმ წერილის ავტორის აზრთა არევ-დარევა, რომელსაც თქვენ ამხელთ, „არ ახალია-ძველია“.

**დ.... ჟანოს.** „შორს და მშვიდობით“ არ დაიბეჭდება.

**დუშიკოს.** გაზეთს ოთხშაბათობით და კვირაობით ვგზავნით დილის მატარებლით, სწორედ ისე, როგორც თქვენა გვთხოვეთ. ნომრები მანდ მოიკითხეთ.

**ს. გ—ა. ვ. გ. ყ—ნს.** თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება.

**სილიბისტრო აკეთელს.** იმ გაზეთს მიჰმართეთ, რომლის კორესპონდენტის წინააღმდეგაცა სწერთ.


# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ყვავილის აცრა და რევაქცინაცია სამკურნალოს სამთავე განყოფილებაში ცენტრალურში — (მუხრანის ქუჩაზე, ტერ-ოსიფოვის სახლში), ავლაბარში (კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ეროვისა) და ხარფუხისაში (ვორონცოვის ქუჩა, იედიგაროვის სახლი) იქმნება კვირაობითაც დილის 9 საათიდგან 11 საათამდე. (3—6.—1)

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 Г.

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ГАЗЕТУ

# СЫНЪ ОТЕЧЕСТВА

(ВТОРОЕ ИЗДАНІЕ)

**первая въ россіи дешевая газета, съ еженедѣльными иллюстрированными приложеніями**

Цѣна на годъ 4 РУБ. съ доставкою.

Подписка принимается въ Главной Конторѣ СПБ. Акціон. Общества „ИЗДАТЕЛЬ“, Невскій просп., у Аничкова моста, № 68—40.


Дозволено цензурою, Тифлисъ 19 го Декабря 1898 г — სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. — რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე